

პილუ კრიშნამუहტი

თავისუფლება ცნობილისგან

თარგმანი ინგლისური ენიდან ეკუთვნის გია ბერაძეს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი – 2020

მთარგმნელი: გია ბერაძე
კორექტორი: ნინო შონია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2020 წელი
ვებ-გვერდი: akti.ge

© გამომცემლობა „აქტი“.

ISBN 978-9941-8-2805-8

სარჩევი

თავი I	7
თავი II	20
თავი III	29
თავი IV	35
თავი V	40
თავი VI	51
თავი VII	61
თავი VIII	71
თავი IX	76
თავი X	83
თავი XI	94
თავი XII	102
თავი XIII	107
თავი XIV	113
თავი XV	119
თავი XVI	126
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები.....	135

გია ბერაძე (1959) – ინგლისური ენის სპეციალისტი, ფილოლოგი. ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი. გია ბერაძეს ქართულად თარგმნილი აქვს ლევ შესტოვის, ნიკოლაი ბერდიავის, სემუელ ბეკეტის, ჯეიმზ ჯონსის, ვირჯინია ვულფის, ო. ჰენრის, ჰერბერტ უელსის, ჯეინ ოსტინის, ჯონ მაქსველ კუტზეეს, ოლდოს პაქსლის, სალმან რუშდის, ბერტრან რასელის, ჯიდუ კრიშნამურტის ნაშრომები და სხვა.

ჯიდუ კრიშნამურტი, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უჩვეულო მოაზროვნე, 1895 წელს დაიბადა. თეოსოფიური საზოგადოება მას მსოფლის მასწავლებლის როლისთვის ამზადებდა, მასში კაცობრიობის მხსნელს ხედავდა. მას უამრავი ადამიანი თაყვანს სცემდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, როგორც ახალ მესიას, რაზეც მან უარი თქვა და განაცხადა, რომ მიმდევრებს არ ეძებს.

„ყოველგვარი ავტორიტეტი, როგორიც არ უნდა იყოს ის, განსაკუთრებით აზროვნებისა და გაგების სფეროში, დესტრუქციული და მავნებელია. ლიდერები ანადგურებენ მიმდევრებს და მიმდევრები ანადგურებენ ლიდერებს. თქვენ თვითონ უნდა იყოთ ერთდროულად საკუთარი თავის მასწავლებელიცა და მოსწავლეც. თქვენ კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დააყენოთ ყველაფერი, რაც ადამიანმა მიიღო როგორც ლირებული და აუცილებელი“.

თავი |

საუკუნეების განმავლობაში ადამიანი ეძებდა რაღაცას საკუთარი თავის მიღმა, მატერიალური კეთილდღეობის მიღმა – იმას, რასაც ჩვენ ჭეშმარიტებას, ღმერთს, ან რეალობას ვეძახით – მდგომარეობა დროის საზღვრებს მიღმა – რაღაცას, რაც მიუწვდომელია გარემოებების, აზრებისა და ადამიანური გახრწნილებისათვის. და ადამიანი ყოველთვის უსვამდა საკუთარ თავს შეკითხვას: რა არის ამ ყველაფრის აზრი? და საერთოდ, აქვს ადამიანის ცხოვრებას რაიმე აზრი? როცა ხედავს საშინელ არეულ-დარეულობას, აჯანყებებს, ომებს, დაუსრულებელ დაყოფას რელიგიის, იდეოლოგიის საფუძველზე, ნაციონალურ პრობლემებს, ადამიანი საშინელ იმედგაცრუებას გრძნობს, მას სრულ კატასტროფის შეგრძება უჩნდება და სვამს კითხვას – რა გააკეთოს, რა არის ის, რასაც ჩვენ ცხოვრებას ვეძახით და არის თუ არა რაღაც იმის იქით?!

როცა ათასობით დასახელებას შორის ვერ პოულობდა იმ რაღაცას, რასაც ყოველთვის ეძებდა, ადამიანი ნერგავდა რწმენას – მხსნელის რწმენას, იდეალს; რწმენა კი გარდაუვალად შობდა ძალადობას. ამ გამუდმებულ ბრძოლაში, რასაც სიცოცხლეს ვეძახით, ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ ერთგვარი კოდექსი ქცევისა, იმ საზოგადოებისთვის შესაფერისი, რომელშიც აღვიზარდეთ, იქნება ეს კომუნისტური საზოგადოება თუ ეგრეთ წოდებული „თავისუფალი საზოგადოება“. ჩვენ ვიცავთ გარევეულ სტანდარტს ქცევისა, ჩვენი ტრადიციის ნაწილს რომ წარმოადგენს – ინდუისტურს, მუსულმანურს, ქრისტიანულს, თუ კიდევ რომელიმე სხვას. ჩვენ ვეძებთ მას, ვინც გვეტყვის რომელი საქციელია სწორი და რომელი არასწორი, რომელი აზრია სწორი და რომელი არასწორი და ვცხოვრობთ რა ქცევების ამ ნიმუშებით, ჩვენი აზროვნება მექანიკური ხდება, ჩვენი რეაქცია – ავტომატური. ამას ძალიან ადვილად შეგვიძლია დავაკვირდეთ საკუთარ თავში.

საუკუნეების განმავლობაში ჩვენ მუდმივი მეურვეობა გვჭირდებოდა ჩვენი მასწავლებლებისგან, ჩვენი ავტორიტეტებისგან, ჩვენი წიგნებისგან, ჩვენი წმინდანებისგან. ჩვენ ვამბობთ: „მომიყევით იმის შესახებ, თუ რა არის ამ პორცვების, მთების, მიწის იქით“ და ვემაყოფილდებით, როცა აღვინერენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სიტყვებით ვცხოვრობთ და ჩვენი ცხოვრება ზედაპირული და ცარიელია. ჩვენ მეორეული ადამიანები ვართ. ვცხოვრობთ ისე, როგორც გვეუბნებიან – ან ჩვენი მიდრევილებებითა და ლტოლვებით, ან გარემოებებსა და ჩვენს გარემობ-ცველ სამყაროს ვემორჩილებით. ჩვენ ვართ შედეგი სხვადასხ-ვა სახის გავლენებისა და ჩვენში არ არის არაფერი ახალი, არაფერი ისეთი, რაც ჩვენ თვითონ აღმოვაჩინეთ, – არაფერი ორიგინალური, სუფთა, პირველქმნილი.

მთელი ისტორიის მანძილზე იდეოლოგები და რელიგიური ლიდერები გვარწმუნებდნენ რომ, თუ რაღაც გარკვეულ რიტ-უალებს შევასრულებდით, ლოცვებსა თუ მანტრებს გავიმე-ორებდით, რაღაც წესებით ვიცხოვრებდით, ჩვენს სურვი-ლებს დავთრგუნავდით, ფიქრებს გავაკონტროლებდით, ჩვენი ლტოლვები ამაღლებული გახდებოდა, მადას ზღვარს დავუდე-დით და სექსუალური მოთხოვნილებებისგან თავს შევიკავებ-დით იმის შემდეგ, რაც საკმარისად გავტანჯავდით საკუთარ გულსა და გონებას, ვიპოვიდით რაღაცას ამ ხანმოკლე სიცოცხ-ლის იქით. და ეს არის ის, რასაც აკეთებდა მილიონობით ეგრეთ წოდებული რელიგიური ადამიანი საუკუნეების განმავლობაში ან მარტობაში – უდაბნოში, მთაში, გამოქვაბულში, სოფლიდან სოფელში ხეტიალით მათხოვრის ფიალით, ან რაღაც ჯვუფში გაერთიანებით და მონასტერში წასვლით, საკუთარ თავს აიძუ-ლებდნენ დადგენილ ნიმუშებს შეგუებოდნენ. მაგრამ გატანჯუ-ლი, გატეხილი გონება, გონება, რომელსაც სურს ყოველგვარ ამაოებას გაექცეს, რომელმაც გარე სამყარო უარყო და და-ჩლუნგდა დისციპლინისა და შეგუების გამო – ასეთი გონება რაც არ უნდა დიდხანს ეძიოს, მხოლოდ იმას იპოვის, რაც მის დამახინჯებულ წარმოდგენებს შეესაბამება.

ამრიგად, იმისათვის, რომ აღმოვაჩინოთ არსებობს თუ არა სინამდვილეში რაღაც ამ მშფოთვარე, შიშითა და წინააღმდეგობებით სავსე ცხოვრების მიღმა, როგორც მე მესმის, აუცილებელია სრულიად განსხვავებული მიდგომა. ტრადიციული მიდგომა გულისხმობს მოძრაობას პერიფერიიდან შიგნით, ცენტრისაკენ; იმისათვის, რომ დროთა განმავლობაში, უარის თქმის პრაქტიკის შედეგად, თანდათან მივიდეთ შინაგან ყვავილობამდე, შინაგან სილამაზემდე და სიყვარულამდე – ფაქტობრივად კი, ასეთი მიდგომისას კეთდება ყველაფერი, რათა გახდე შეზღუდული, წვრილმანი და უბადრუკი. როცა ადამიანი თანდათან იწმინდება, ერთიმეორის მიყოლებით იშორებს შრებს იმის იმედით, რომ სასურველს ხვალ, მომდევნო ცხოვრებაში მიაღწევს. ის, ბოლოს და ბოლოს, უახლოვდება იმ ცენტრს და აღმოაჩენს, რომ იქ არაფერი არ არის, იმიტომ, რომ მისი გონიერა უძლური, ჩლუნგი და უგრძნობი გახდა.

როცა ამ პროცესს აკვირდები, საკუთარ თავს ეკითხები ხომ არ არსებობს სრულიად განსხვავებული მიდგომა, ანუ, ხომ არ არის შესაძლებელი აფეთქება ცენტრიდან?!

მსოფლიო ტრადიციულ მიდგომას იღებს და მას მისდევს. საკუთარ თავში უნესრიგობის მთავარი მიზეზი არის ვიღაც სხვის მიერ აღთქმული რეალობის ძებნა. ჩვენ მექანიკურად მივყვებით ვიღაცას, ვინც კომფორტულ სულიერ ცხოვრებას გვპირდება. ყველაზე დაუჯერებელი ის არის, რომ ადამიანების უმრავლესობა პოლიტიკურ ტირანიასა და დიქტატურას ეწინააღმდეგება, თუმცა შინაგანად ვიღებთ ავტორიტეტსა და ტირანიას, ნებას ვაძლევთ ვიღაცას დაამახინჯოს ჩვენი ტვინი და ცხოვრების გზა. მაგრამ, თუ ჩვენ მთლიანად, არა ინტელექტუალურად, არამედ ფაქტობრივად, უარვყოფთ ყველა ეგრეთ წოდებულ სულიერ ავტორიტეტს, ცერემონიალს, რიტუალსა და დოგმას – ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო დავრჩებით და კონფლიქტში ვიქნებით საზოგადოებასთან; რესპექტაბელური აღარ ვიქნებით მათ თვალში. რესპექტაბელურ ადამიანს კი არ შეუძლია ამ უსაზღვრო, განუზომელ რეალობას მიუახლოვდეს.

ვთქვათ, ჩვენ ვიწყებთ რაღაც აბსოლუტური ტყუილის – ტრადიციული მიდგომის – უარყოფით. მაშინ, თუ თქვენი უარყოფა მხოლოდ რეაქციაა, თქვენ შექმნით მხოლოდ სხვა შაბლონს, რომელიც მხოლოდ მახე იქნება მაშინ, თუ საკუთარ თავს მხოლოდ ინტელექტუალურად დაარწმუნებთ, რომ ეს უარყოფა ძალიან კარგი იდეაა, თუმცა უფრო შორს წასვლას ვერ შეძლებთ. ხოლო, თუ თქვენ ამ მიდგომას იმიტომ უარყოფთ, რომ გესმით მისი უაზრობა და უმნიფრობა, თუ თქვენ უკუაგდებთ მას მძლავრი გონებით, იმიტომ, რომ თავისუფალი ხართ და არ გეშინიათ, თქვენ საკუთარ თავსა და თქვენს გარშემო დიდ მღელვარებას შექმნით, მაგრამ ამით გამოხვალთ რესპექტაბელობის მახიდან. აი, მაშინ, თქვენ აღმოაჩენთ, რომ უკვე აღარ ეძებთ. აი, პირველი რამ, რაც თქვენ ისწავლეთ – არ ეძიოთ! როცა ეძებთ, თქვენ ფაქტობრივად უბრალოდ ვიტრინებს ათვალიერებთ.

საკითხი იმის შესახებ – არსებობს თუ არა ღმერთი, ჭეშმარიტება, რეალობა, თუ როგორც არ უნდა ვუწოდოთ მას, – ვერ გადაიჭრება წიგნების, მღვდლების, ფილოსოფოსებისა და მხსნელების დახმარებით. თქვენ გარდა, ვერავინ და ვერაფერი უპასუხებსა ამ შეკითხვას. სწორედ ამიტომ, უნდა შეიცნოთ საკუთარი თავი. უმნიფრობა სწორედ საკუთარი თავის სრული არცოდნაა. საკუთარი თავის ჩანვდომა სიბრძნისკენ გზის დასაწყისია.

და რას წარმოადგენთ თქვენ თვითონ? რა არის თქვენი ინდივიდუალობა? მე ვფიქრობ, რომ არის განსხვავება ადამიანსა და ინდივიდს შორის. ინდივიდი – ეს ლოკალური არსია, რომელიც გარკვეულ ქვეყანაში ცხოვრობს და ეკუთვნის გარკვეულ კულტურას, საზოგადოებას, რელიგიას. ადამიანი ლოკალური არსი არ არის, ის ყველგანაა. თუ ინდივიდი ცხოვრების ფართო მინდვრის მხოლოდ ცალკეულ კუთხეში მოქმედებს, მაშინ მისი მოქმედება სრულიად არ შეესაბამება მთლიანს. ამდენად, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ მთლიანზე და არა რაღაც ნაწილზე, იმიტომ, რომ დიდი მოიცავს მცირეს, მცირე კი დიდს არ მოიცავს. ინდივიდი – ეს პატარა, უბედური, დაპროგრამებუ-

ლი, უბადრუკი, დაბნეული არსია თავისი პანაწინა ღმერთებითა და პანაწინა ტრადიციებით, მაშინ, როდესაც ადამიანს აფიქრებს საყოველთაო კეთილდღეობა, ტანჯვა და არეულობა.

ჩვენ, ადამიანები, ისეთივე დავრჩით, როგორიც ვიყავით მილიონბით წლების განმავლობაში – უსაზღვროდ ხარბები, შურიანები, აგრესიულები, ეჭვიანები, შფოთვითა და სასონარევეთილებით სავსენი, აქა-იქ სიხარულის და სიყვარულის შემთხვევითი გამონათებებით. ჩვენ ვართ უცნაური ნაზავი სიძულვილის, შიშის, სიკეთის, ძალმომრეობისა და მშვიდობის ერთდღრულად. გარეგნულად დიდი პროგრესია მილწეული – ხარებშებმული ოთხთვალადან რეაქტიულ თვითმფრინავებამდე, მაგრამ ფსიქოლოგიურად ინდივიდი მაინც არ შეცვლილა, საზოგადოების სტრუქტურა კი მთელს მსოფლიოში, ყველგან ინდივიდებისაგან შედგება. გარე სოციალური სტრუქტურა არის შედეგი ჩვენი ადამიანური დამოკიდებულების შინაგანი ფსიქოლოგიური სტრუქტურისა, რამდენადაც ინდივიდი ადამიანის გამოცდილების, ცოდნისა და ქცევის ერთობლივი შედეგია. თითოეული ჩვენგანი არის საწყობი მთელი წარსულისა. ინდივიდი – ეს არის ადამიანი, რომელიც წარმოადგენს მთელს კაცობრიობას. ადამიანის მთელი ისტორია ჩაწერილია ჩვენში.

აბა, თვალყური მიადევნეთ რა ხდება სინამდვილეში ჩვენს შიდა და გარე კონკურენციაზე აგებულ კულტურაში, რომელ-შიც თქვენ ცხოვრობთ და რომელიც ადამიანისგან მოითხოვს ძალაუფლებას, მდგომარეობას, პრესტიჟს, სახელს, წარმატებასა და ყველაფერ დანარჩენს. იფიქრეთ იმ მილწევებზე, რომლებითაც თქვენ ასე ამაყობთ, გამოიკვლიეთ მთელი ის სფერო, რასაც თქვენ სიცოცხლეს ეძახით – კონფლიქტები, ურთიერთობის ყველა ფორმა, სიძულვილი, მტრობა, სისასტიკე და დაუსრულებელი ომები. ეს ცხოვრება და ეს სფერო არის ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით და რამდენადაც არ შეგვიძლია ჩავწვდეთ ამ საშინელ ბრძოლას არსებობისათვის, ამდენად, ბუნებრივია რომ, მის წინაშე შიში გვიპყრობს და მისგან ნებისმიერი საშუალებით გაქცევაში ვეძებთ ხსნას. შიში გვიპყრობს ასევე შეუცნობელის მიმართ – გვეშინა სიკვდილის; გვეშინა

გამომცემლობა 'აეტი'-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიერისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა
4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი
6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი

11. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
12. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

13. ბერტრან რასელი – ესეები
14. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

15. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
16. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
17. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი

18. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
19. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
20. ერიხ ფრომი – ადამიანის სული
21. გუსტავ ლე ბონ – მასების ფსიქოლოგია

22. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
23. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
24. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე
25. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან